

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ

2007 წლის 23 მაისის N105 დადგენილების დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი # 1 - ზოგადი დებულებანი

მუხლი # 1 - დებულების რეგულირების საგანი

ეს დებულება არეგულირებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრისა და საზღვრების დადგენასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი # 2 - დებულების მიზანი

დებულების მიზანია:

ა) დაადგინოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის სფეროში;

ბ) დაადგინოს ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრის წესი.

მუხლი # 3 - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი არის ტყის ფონდი, რომელიც საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი # 4 - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის საფუძვლები

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ფორმირება (დაკომპლექტება) ხდება:

ა) ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების ტერიტორიებზე;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის იმ მიწებით, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებს და მოქცეულია შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საზღვრებში.

2. ის ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწები, რომლებიც ადმინისტრაციულად მდებარეობენ რამდენიმე თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფორმირებისას(დაკომპლექტებისას) ნაწილდება ამ ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით და მის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან დაკომპლექტება ხდება მისი სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შემდეგ.

მუხლი # 5 - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის, მისი საზღვრების დადგენისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და მართვა

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრას, მისი საზღვრების დადგენასა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევნ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხთა მომზადების მიზნით სახელმწიფო ფონდიდან მიწის განკარგვის, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწების ამორიცხვისა და სახელმწიფო ტყის ფონდში მიწების ჩარიცხვის თაობაზე რეკომენდაციებს ამზადებს საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია.

მუხლი # 6 - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების შერჩევისა და გადაცემის წესი

1. ადგილობრივი ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების შერჩევის მიზნით შესასრულებელ სამუშაოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

2. ადგილობრივი ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების შერჩევის მიზნით კომისია:

ა) განიხილავს თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ფართობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს დამატებით დაზუსტებულ ინფორმაციას;

ბ) განიხილავს გეოინფორმაციულ საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალას, რომელიც დამზადებულია არსებული ბოლო წლების ტყეთმოსწობის, საკადასტრო მასალების, მიწათსარგებლობის გეგმების, აერო-ფოტო სურათების, ორთო-ფოტო გეგმებისა და ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე;

გ) საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს მოსაზღვრე თვითმმართველი ერთეულის საზღვრებთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) განიხილავს ადგილობრივი ტყის ფონდის დელიმიტირებული საზღვრის რუკა - დოკუმენტებს.

3. კომისია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

4. საქართველოს მთავრობა დადგენილი წესით ამტკიცებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების ნუსხას, ადგილმდებარეობასა და რაოდენობას, ადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის მიწების შესაბამისი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემის ვადებს.

მუხლი # 7 - ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის მიწების თვითმმართველი ერთეულებისათვის ჩაბარების წესი

1. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის მიწების თვითმმართველი ერთეულებისათვის ჩაბარება ხდება ერთობლივად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შესაბამის თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2. მიღება-ჩაბარების აქტში სხვა მონაცემებთან ერთად აღინიშნება საორიენტაციო საზღვრის სიგრძე.

3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება 4 ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი ეგზავნებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების აპარატებსა და შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გადაცემული ადგილობრივი ტყის ფონდის საზღვრების დადგენა და ნატურაში გადატანა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.